ხელშეკრულება N74

ქ. ზუგდიდი 9 დეკემბერი 2015 წ.

სსიპ ზუგდიდის შ. დადიანის სახელმწიფო დრამატული თეატრი შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ეგუტიას სახით და ი/მ „გულად ჩიკვატია“ შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი გულად ჩიკვატიას სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევა.
1.2 ხელშეკრულების საგანია - ლ. ბუღაძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლისათვის „თეატრი“ ლითონის პროფილის შეძენა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 167 (ას სამოცდაშვიდი) ლარს.

2.2აღნიშნული ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე საქათველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიმწოდებელმა მომსახურება გაუწიოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

3.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

ბ) წინამდწბარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

4. ხარისხი

4.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობას.

4.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მთელი მომსახურების პერიოდში და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში გამოასწოროს ხარვეზი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც გაწეული მომსახურების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ზუგდიდის შ. დადიანის სახელმწიფო დრამატული თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე ზაზა როგავა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შემსყიდველის ინსპექტირების პროცესს.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი სასაქონლო-ზედნადების გაფორმების შემდეგ ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორვე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შევლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში „დამქირავებელი" და „დაქირავებული" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 9 დეკემბრიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

11.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ერთი - „შემსყიდველს".

13. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამქირავებელი“

სსიპ ზუგდიდის შ. დადიანის სახელმწიფო
დრამატული თეატრი

წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ
ეგუტიას სახით,

მისამართი: ქ. ზუგდიდი, თეატრის ქ. N2

ხელმოწერა

„დაქირავებული:

ი/მ „გულად ჩიკვატია“

პ/ნ 19001012169

ბანკის კოდი: MIBGGE22

ა/ა GE15PC0173600100018038

მისამართი: ქ. ზუგდიდი, კოსტავას N110

ხელმოწერა